

“საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრობის - მრჩევლობის კანდიდატის შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნისა და მრჩევლობის კანდიდატთა სიის გამოქვეყნების შესახებ” აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2019 წლის N11 განკარგულებით შექმნილი კომისიის

## ოქმი N1

დაბა ჩაქვი

16 დეკემბერი 2019 წელი

სხდომას უძღვებოდა კომისიის უხუცესი წევრი - მანანა შარაშიძე.

სხდომაში მონაწილეობდნენ კომისიის წევრები: თამარ მამეიშვილი, ლევან გობაძე, გივი მგელაძე, ნათია კუპრაშვილი.

### დღის წესრიგი

1. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრობის - მრჩევლობის კანდიდატის შესარჩევი საკონკურსო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის არჩევა;
2. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრობის - მრჩევლობის კანდიდატის შესარჩევი საკონკურსო კომისიის დებულების შემუშავება.

კომისიის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი.

### I

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრობის - მრჩევლობის კანდიდატის შესარჩევი საკონკურსო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის არჩევა

### მოისმინეს:

კომისიის წევრებმა მანანა შარაშიძემ კომისიის თავმჯდომარედ ლევან გობაძის, ხოლო ნათია კუპრაშვილმა - თამარ მამეიშვილის კანდიდატურა დაასახელეს.

კენჭი ეყარა - ლევან გობაძის საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრობის - მრჩევლობის კანდიდატის შესარჩევი საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ არჩევას.

მომხრე - 2 წევრი (მ.შარაშიძე, თ. მამეიშვილი)

წინააღმდეგი - 2 წევრი (ნ.კუპრაშვილი, გ. მგელაძე)

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 1 წევრმა (ლ. გობაძე)

კომისიის წევრის ნათია კუპრაშვილის წინადადებას - თამარ მამეიშვილის საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს

წევრობის - მრჩევლობის კანდიდატის შესარჩევი საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ არჩევის თაობაზე - კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

კომისიის წევრმა ნათია კუპრაშვილმა კომისიის მდივნად მანანა შარაშიძის კანდიდატურა დაასახელა. აღნიშნულ წინადადებას კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

### **კომისიის გადაწყვეტილება:**

1. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრობის - მრჩევლობის კანდიდატის შესარჩევი საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა თამარ მამეიშვილი.

2. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრობის - მრჩევლობის კანდიდატის შესარჩევი საკონკურსო კომისიის მდივნად არჩეული იქნა მანანა შარაშიძე.

## **II**

### **საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრობის - მრჩევლობის კანდიდატის შესარჩევი საკონკურსო კომისიის დებულების შემუშავება**

კომისიის თავმჯდომარემ თამარ მამეიშვილმა წარმოადგინა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრობის - მრჩევლობის კანდიდატის შესარჩევი საკონკურსო კომისიის დებულების პროექტი.

კომისიის წევრებმა მუხლობრივად განიხილეს წარმოდგენილი დებულების პროექტი:

მუხლი 1. ზოგადი დებულება. 1-5 პუნქტები. შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

მუხლი 2. კომისიის უფლებამოსილება. „ა-გ“ ქვეპუნქტები.

კომისიის წევრმა ნათია კუპრაშვილმა გამოთქვა შემდეგი სახის შენიშვნა - „ბ“ ქვეპუნქტის მე-6 ფრაზას, სიტყვის - „განხილვის“ - შემდეგ დაემატოს წინადადება - „მათ შორის დებატები“.

კომისიის წევრმა გივი მგელაძემ გამოთქვა შემდეგი სახის შენიშვნა - „ბ“ ქვეპუნქტის მე-6 ფრაზას, სიტყვის - „განხილვის“ - შემდეგ დაემატოს წინადადება - „მათ შორის საჯარო დებატების (ასეთის არსებობის შემთხვევაში)“.

გივი მგელაძის წინადადებას კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

კომისიის წევრებმა ნათია კუპრაშვილმა და გივი მგელაძემ გამოთქვეს შემდეგი სახის შენიშვნა - „გ“ ქვეპუნქტის მე-5 ფრაზას დაემატოს წინადადება - „კომისიის თავმჯდომარის მიმართვის შედეგად, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ, უმაღლეს საბჭოში მრჩეველთა საბჭოს წევრად - კანდიდატად წარდგენამდე“.

კომისიის წევრების ლევან გობაძისა და მანანა შარაშიძის მოსაზრებით, აღნიშნული წინადადებების გათვალისწინება კომისიის მხრიდან უფლებამოსილების გადამატება იქნება. ასევე, არასწორად მიიჩნიეს, დებატების შედეგების კანდიდატების შეფასების კრიტერიუმად გამოყენება.

თამარ მამეიშვილის წინადადებით, აღნიშნულ შენიშვნას კენჭი ეყარა ორნაწილად:

1. „კომისიის თავმჯდომარის მიმართვის შედეგად საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ,“

მომხრე - 3 წევრი (თ. მამეიშვილი, ნ. კუპრაშვილი, გ. მგელაძე)

წინააღმდეგი - 1 წევრი (გ. მგელაძე)

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 1 წევრმა (მ. შარაშიძე)

2. უმაღლეს საბჭოში მრჩეველთა საბჭოს წევრად - კანდიდატად წარდგენამდე“

მომხრე - 5 წევრი წინააღმდეგი - 0

მუხლი 3. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა. 1-15 პუნქტები. შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

მუხლი 4. კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი. 1-2 მუხლები. შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

მუხლი 5. კანდიდატისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს განვითარების კონცეფციის შეფასების კრიტერიუმები. 1-4 მუხლები. შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

მუხლი 6. კანდიდატის შეფასების წესი. 1-2 მუხლები. შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

მუხლი 7. დასკვნითი დებულება. 1-2 მუხლები.

კომისიის წევრმა ნათია კუპრაშვილმა გამოთქვა შენიშვნა - პირველი და მეორე მუხლების გადანაცვლების თაობაზე.

### კომისიის გადაწყვეტილება:

მიღებული იქნას საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრობის - მრჩევლობის კანდიდატის შესარჩევი საკონკურსო კომისიის დებულება (თანახმად დანართისა) და დასამტკიცებლად წარედგინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ მამეიშვილი

კომისიის მდივანი

მანანა შარაშიძე